"ქალების მენტორობა ტექ პროგრამებში"



განხორციელების ვადა: 01.03.2024 - 01.03.2027

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 1 000 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 1 000 000

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
Business and Technology University

პროექტის აღწერა:

„ქალების მენტორობა ტექ პროგრამებში" პროექტი, რომელსაც ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი ახორციელებს, მიზნად ისახავს, ციფრულ სფეროებში ქვეყნის ადამიანური რესურსების გაძლიერებას, ტექნოლოგიებში ქალთა ჩართულობის ზრდასა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას. პროექტი ეხმიანება ევროკავშირის 2020-2025 წლების გენდერული თანასწორობის სტრატეგიას და ციფრული უთანასწორობის მესამე სამოქმედო გეგმას. პროექტი განსაკუთრებით ფოკუსირდება საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით ცოდნის, მეწარმეობის უნარებისა და კარიერული პერსპექტივების გაღრმავებაზე.

მოსალოდნელი შედეგები:

-ციფრული ადამიანური კაპიტალის გაუმჯობესება საქართველოში, ქალებსა და გოგონებზე განსაკუთრებული აქცენტით.
-ქალთა და გოგონათა გაძლიერება, რათა შეძლონ ICT სექტორში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.
-ICT სექტორში გენდერისადმი მგრძნობიარე მიდგომით თანამშრომლობისა და მრავალფეროვნების გაზრდა.
-სპეციალური იურიდიული ერთეულის დაარსება საქართველოში, რომელიც გააგრძელებს და კოორდინირებას გაუწევს მდგრად პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ უწყვეტ ეფექტიანობას და შედეგს.